



აჭარის რეგიონში სასათბურე მეურნეობების განვითარების
პერსპექტივების კვლევა და მიკრო მოდელის მომზადება

სასათბურე მეურნეობის ღიებულებათა ჯაჭვის ანალიზი

პი ემ სი კვლევითი ცენტრი

2015

შინაარსი

I.	წინასიტყვაობა	3
II.	კვლევის სტრუქტურა	3
III.	რეზიუმე.....	4
i.	სასათბურე მეურნეობის მომგებიანობა და ახალი კულტურები.....	4
ii.	არასეზონური ბოსტნეულის წარმოებასთან დაკავშირებული ხარჯები	5
iii.	კვალიფიციური პერსონალი	5
IV.	არასეზონური ბოსტნეულის ბაზრის მიმოხილვა საქართველოს მასშტაბით.....	6
i.	ადგილობრივი წარმოების ტენდენციები	6
ii.	იმპორტის ანალიზი	7
iii.	საექსპორტო ბაზრების პოტენციალი.....	9
V.	სასათბურე მეურნეობის წარმოების ჯაჭვის ანალიზი (მასალების შესყიდვა - მზა პროდუქციის რეალიზაციის არხები)	10
i.	მასალების მოწოდებლები	10
ii.	სარეალიზაციო არხები (მიზნობრივი ბაზრები).....	10
VI.	SWOT ანალიზი - დარგში არსებული სიტუაციის ანალიზი და მიმდინარე ტენდენციების იდენტიფიცირება.....	12
VII.	დანართი: ბიბლიოგრაფია	15

I. წინასიტყვაობა

დოკუმენტი მომზადებულია პი-ემ-სი კვლევითი ცენტრის (PMC RC) აჭარის სოფლის მეურნეობის განვითარების (ENPARD-აჭარა) პროექტის ფარგლებში, რომელიც დაფინანსებულია ევროკავშირის მიერ და ახორციელებს გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP). პროექტის მიზანია აჭარის რეგიონში სოფლის მეურნეობის პირველადი და მეორადი გადამუშავების საწარმოების შექმნის პერსპექტივების შეფასება ღირებულებათა ჯაჭვის ანალიზის საფუძველზე შემდეგ ქვესექტორებში:

1. დახურული გრუნტის ბოსტნეული კულტურების (პომიდორი, კიტრი, ტკბილი წიწაკა და ბადრიჯანი) მაღალტექნოლოგიური სასათბურე მეურნეობა;
2. მაღალტექნოლოგიური და ინტენსიური ტიპის მესაქონლეობის ფერმა (მეხორცული);
3. მაღალტექნოლოგიური და ინტენსიური ტიპის მეფრინველეობის ფაბრიკა (ბროილერი);

კვლევის მიზანია ქვესექტორების პოტენციალის განსაზღვრა იმპორტის ჩანაცვლების, ექსპორტის და ინოვაციებისა შექმნის თვალსაზრისით (ქვესექტორების კონკურენტუნარიანობა და საინვესტიციო მიმზიდველობა). კვლევის პროცესში შესწავლილ იქნა ზემოთ ჩამოთვლილი ქვესექტორების ბაზრის ძირითადი ეკონომიკური სუბიექტები, გაანალიზდა არსებული ტენდენციები და შეფასდა ქვესექტორების კონკურენტუნარიანობის, საინვესტიციო მიმზიდველობის, საექსპორტო შესაძლებლობები.

დოკუმენტი აღწერს აჭარის რეგიონში სასათბურე მეურნეობის პერსპექტივების კვლევის და მიკრო მოდელის მომზადების დეტალურ მეთოდოლოგიას. ამ მეთოდოლოგიის გამოყენებით შესაძლებელი იქნება განსახორციელებელი სამუშაოს ორგანიზება, ინფორმაციის მოპოვებინან შესაბამისი მოდელის პრეზენტაციის ჩათვლით.

II. კვლევის სტრუქტურა

წინასიტყვაობა რეზიუმე მეთოდოლოგია	
სექტორის მიმოხილვა	არასეზონური ბოსტნეულის ბაზრის მიმოხილვა საქართველოს მასშტაბით; <ul style="list-style-type: none">• ადგილობრივი წარმოების ტენდენციები• იმპორტის ანალიზი• რეგიონში არსებული არასეზონური მოხმარების ანალიზი

<p>ღირებულებათა ჯაჭვის ანალიზი</p>	<p>სასათბურე მეურნეობის წარმოების ჯაჭვის ანალიზი (მასალების შესყიდვა - მზა პროდუქციის რეალიზაციის არხები);</p> <ul style="list-style-type: none"> • მასალების მოწოდებლები • რეგიონში მოქმედი ძირითადი მწარმოებლები (კონკურენტული ანალიზი) • სარეალიზაციო არხები (მიზნობრივი ბაზრები)
<p>SWOT ანალიზი</p>	<p>დარგში არსებული სიტუაციის ანალიზი და მიმდინარე ტენდენციების იდენტიფიცირება</p>

III. რეზიუმე

i. სასათბურე მეურნეობის მომგებიანობა და ახალი კულტურები

სასათბურე ბიზნესი დღესაც რჩება საშუალო და მსხვილი ინვესტორებისათვის ერთ-ერთ საინტერესო მიმართულებათ. დაინტერესების ძირითადი მოტივაცია არის ბოსტნეული კულტურების არასეზონური იმპორტის მაჩვენებლები ქვეყანაში. ინვესტორების წარმოდგენით ადგილობრივი წარმოების პროდუქციით იმპორტის ჩანაცვლება ადვილია, რაც სინამდვილეს არ შეესაბამება, რადგან თურქეთი როგორც ძირითადი იმპორტიორი ქვეყანა საქართველოში აგზავნის ე.წ. არასტანდარტულ ზომის პროდუქციას, რომლის გადარჩევა/დაკალიბრება მოხდა ადგილზე და ძირითადი დიდი კალიბრის პროდუქცია წავიდა შედარებით მაღალი ღირებულების ბაზრებზე (ევროკავშირში). რაც შეეხება შედარებით დაბალ კალიბრს, ის რეალიზდება ადგილზე და გადის მეზობელ ქვეყნებში მათ შორის საქართველოშიც. სწორედ ამიტომ, პომიდორის და კიტრის შემთვევაში თურქეთთან კონკურენცია საკმაოდ რთული საკითხია ენერგობატარებლებზე არსებული ფასის გათვალისწინებით. ერთი კილოგრამი არასტანდარტული კალიბრის პომიდორის ფასი თურქეთში 0,45 – 0,50 თურქული ლირაა (0,36-0,40 ლარი). ბუნებრივ ცხელ წყალზე მომუშავე თანამედროვე ტექნოლოგიით აღჭურვილი სათბურის შემთვევაშიც კი, სადაც საშუალო წარმადობა ერთ ჰექტარზე 250 ტონაა, პროდუქციის თვითღირებულება არანაკლებ 0,65-0,70 ლარია. ამ შემთვევაში პომიდორის ადგილობრივი წარმოების გადარჩენის ერთადერთი საშუალება ჯიშების დიფერენციაციაა, რაც ამჟამად ხორციელდება კიდევ, მაგრამ წარმოების მასშტაბის გაზრდის შემთხვევაში თურქული პროდუქციის მთლიანად ჩანაცვლება ვერ მოხდება წარმოების ხარჯებში არსებული განსხვავების გამო. ამიტომ, ადგილობრივმა მეწარმემ უნდა ეძებოს უფრო მაღალი ღირებულების მქონე ბაზრები, რათა ვიზუალურად და გემოვნური თვისებებით უკეთესი პროდუქციის მაღალ ფასში რეალიზაცია შეძლოს. სასათბურე წარმოების განვითარების მეორე საშუალება პროდუქციის დივერსიფიკაცია და სხვა უფრო მომგებიან კულტურებზე აქცენტის გაკეთებაა. კვლევამ გამოავლინა ორი პროდუქტი, ტკბილი წიწაკა და მარწყვი, რომლებსაც გარკვეული პოტენციალი გააჩნია როგორც ადგილობრივ, ასევე, საექსპორტო ბაზრებზე. ტკბილი წიწაკის წარმოების დანახარჯები დაბალია პომიდორის და მარწყვის დანახარჯებთან შედარებით, რადგან მას ესაჭიროება შედარებით დაბალი ტემპერატურა (20 გრადუსი ცელსიუსი), ვიდრე, მაგალითად, პომიდორს (23-24 გრადუსი ცელსიუსი). ტემპერატურის უმნიშვნელო

განსხვავება ბუნებრივი აირის ხარჯის დიდ სხვაობას იძლევა. ამასთან, ტკბილ წიწაკის სარეალიზაციო ფასი მნიშვნელოვნად მაღალია სხვა ბოსტნეულის ფასზე. ასევე, აუცილებელია ყურადღების გამახვილება მარწყვის წარმოებაზე. საქართველოში ეს კულტურა დიდი ხანია მოჰყავთ ღია გრუნტში, მაგრამ სათბურში მისი წარმოება არ არის განვითარებული. მარწყვის წარმოებასაც ესაჭიროება მაღალტექნოლოგიური სათბური, რაც დიდი ოდენობით ინვესტიციას საჭიროებს, თუმცა მნიშვნელოვან როლს შეასრულებს ბაზრის დივერსიფიკაციის მიმართულებით. ამასთან, გასათვალისწინებელია ადგილობრივი ბაზრის პერსპექტივები, სადაც არასეზონური მოხმარება 100 ტონის ფარგლებში მერყეობს, მაგრამ ადგილობრივი წარმოების განვითარების შემთხვევაში ეს მაჩვენებელი გაიზრდება შემცირებული ფასის ფონზე.

ii. არასეზონური ბოსტნეულის წარმოებასთან დაკავშირებული ხარჯები

წარმოების ხარჯებთან დაკავშირებით ყურადსაღები თემაა სათბურის გათბობა. საშუალოდ აჭარის დაბლობისკლიმატურ პირობებში 1 ჰექტარი სათბურის გათბობას ესაჭიროება წელიწადში 150,000 – 200,000 კუბური მეტრი ბუნებრივი აირი, რომლის ღირებულებაც 100,000 ლარს (1 კუბური მეტრის ბუნებრივი აირის ფასი - 0,75 ლარი) აღემატება. ამ სიტუაციაში აუცილებელია ალტერნატიული ენერჯის წყაროების ძიება. ბუნებრივი ცხელი წყლის არტეზიული ჭები საუკეთესო ალტერნატივაა, მაგრამ მათი რაოდენობა შეზღუდულია. თხილის ნაჭუჭი შეიძლება ჩაითვალოს ბუნებრივი აირის ერთერთ შესაძლო შემცვლელად იმ შემთხვევაში, თუ ერთი კილოგრამის ფასი 0,1 ლარს არ გადააჭარბებს. მისი ფასი სეზონურად მერყეობს 0,1-0,2 ლარის ფარგლებში. ერთი კილოგრამი თხილის ნაჭუჭის ფასი 0,1 ლარის პირობებში კონკურენტუნარიანია (1 მ³ ბუნებრივი აირის ეკვივალენტი არის 5 კილოგრამი თხილის ნაჭუჭი), ხოლო 0,2 ლარის შემთხვევაში 25 თეთრით აღემატება ბუნებრივი აირის ფასს. გარდა ამისა, მყარ საწვავზე მომუშავე ორთქლის ქვაბს ესაჭიროება შესაბამისი ინფრასტრუქტურა (ორთქლის ქვაბის 10 საათიანი მუშაობისათვის საჭიროა 12 ტონა თხილის ნაჭუჭი, რაც მოითხოვს დამატებით სასაწყობო ფართის მოწყობას და შესაბამის მიმწოდებელის მოძებნას, რაც ბუნებრივი აირის სისტემას არ ესაჭიროება). ამ პროექტის ფინანსურ ნაწილში საწვავის სახით გათვალისწინებულია ბუნებრივი აირი.

iii. კვალიფიციური პერსონალი

აჭარაში, ისევე როგორც საქართველოს ყველა სხვა რეგიონში პროფესიონალი კადრების დეფიციტია როგორც ახალი კულტურების (ტკბილი წიწაკა, მარწყვი), ასევე, უკვე არსებული არასეზონური ბოსტნეულის (კიტრი და პომიდორი) წარმოების მიმართულებით. ამ ეტაპზე რეკომენდირებულია ექვსი თვიდან ორ წლამდე ვადით უცხოელი სპეციალისტის ჩამოყვანა, ასევე, პარალელურად ადგილობრივი სპეციალისტების გადამზადება ცალკეული კულტურების წარმოების საკითხში. თურქეთს ჰყავს საკმაოდ გამოცდილი სპეციალისტები (შედარებით დაბალი ანაზღაურებით, ვიდრე ისრაელს), მაგრამ ევროპელებისა და ებრაელებისგან განსხვავებით, თურქი სპეციალისტები არ საუბრობენ ინგლისურ ენაზე. ამიტომ საჭიროა ისეთი ადგილობრივი აგრონომების და მცენარეთა დაცვის სპეციალისტების მოძებნა, რომლებსაც თურქული ენის მინიმალური ცოდნა აქვთ. არსებული პრაქტიკის გათვალისწინებით, რეკომენდირებულია, უცხოელ სპეციალისტს დაენიშნოს ხელფასი და დამატებითი ანაზღაურება ბონუსის სახით მინიმალური მოსავლიანობის გადაჭარბების

(მაგალითად, 200 ტონა), ან წარმოების ხარჯების გარკვეული პროცენტით შემცირების შემთხვევაში. ზოგადად, უმჯობესია ანაზღაურების ოდენობა დაკავშირებული იყოს მოსავლიანობის მოცულობის გადაჭარბებასთან, რათა ხარჯების შემცირება არ მოხდეს გათბობის ეკონომიის ხარჯზე რაც უარყოფითად იმოქმედებს წარმოების ეფექტურობაზე.

IV. არასეზონური ბოსტნეულის ბაზრის მიმოხილვა საქართველოს მასშტაბით

ამ ნაწილში მოცემულია ინფორმაცია საქართველოში არსებული სასათბურე მეურნეობების მიერ წარმოებული პროდუქციის მოცულობების და ასორტიმენტის, იმპორტირებული პროდუქციის რაოდენობების, საქართველოს და, კერძოდ, აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში არსებული მოხმარების შესახებ შესახებ. აღნიშნული ინფორმაცია მოპოვებულია ინფორმაციის მეორადი (საქართველოს სტატისტიკი ეროვნული სამსახური, საბაჟო სამსახური, დონორი ორგანიზაციების მიერ ჩატარებული კვლევები, მთავრობის ხელთ არსებული ოპერატიული მონაცემები) და პირველადი წყაროებიდან.

i. ადგილობრივი წარმოების ტენდენციები

დახურული გრუნტის ბოსტნეული კულტურების არასეზონურმა წარმოებამ ბევრი ცვლილება განიცადა ბოლო ათი წლის განმავლობაში. 2005 წლიდან ბუნებრივი აირის გაძვირების და მაღალმთიან რეგიონებში არსებული შეღავათების გაუქმების შემდგომ ყაზბეგის რაიონის სასათბურე წარმოება მთლიანად გაჩერდა. მაღალმთიან რეგიონში სასათბურე ბიზნესის განვითარების ერთადერთი პირობა უფასო ბუნებრივი აირი იყო, რისი შეწყვეტის შემდეგაც ეს ბიზნესი წამგებიანი გახდა ადგილობრივი ფერმერებისთვის. ამ პერიოდს დაემთხვა პომიდორის არასეზონური იმპორტის მოცულობების მკვეთრი ზრდა 2005 წელს 413,000 აშშ დოლარიდან 2006 წელს 1,703,000 აშშ დოლარამდე, რისი ძირითადი მიზეზიც ყაზბეგის რაიონში არსებული სასათბურე მეურნეობების გაჩერება იყო. არსებული მონაცემებით რაიონში 450 ერთეული (500 მ²-მდე) სათბური ფუნქციონირებდა საერთო ფართობით 22,5 ჰა. ჰექტარზე საშუალო მოსავლიანობა შეადგენდა 100 ტონას, რაც საბოლოო ჯამში 2,000 - 2,250 ტონა მზა პროდუქციის წარმოების საშუალებას იძლეოდა. სწორედ ამ მოცულობით გაიზარდა საქართველოში არასეზონური დახურული გრუნტის ბოსტნეულის იმპორტი 2005-2006 წლებში. ადგილობრივი წარმოება მხოლოდ 2009 წლიდან გააქტიურდა და კომპანია „აიკონ ჯგუფმა“ პირველი მაღალტექნოლოგიური 3,1 ჰა ფართობის სათბური გაუშვა ექსპლუატაციაში. 2010 წელს თანამედროვე სათბურების საერთო ფართობი 5 ჰა-მდე გაიზარდა, ხოლო, შედარებისთვის, 2014 წელს 42 ჰა-ს მიაღწია. მონაცემები შეეხება მაღალი ტექნოლოგიების მქონე სასათბურე მეურნეობებს, სადაც პომიდორის კულტურის საშუალო მოსავლიანობა შეადგენს 250 ტონას ჰექტარზე. მომავალი წლისთვის სრულდება დამატებით 19,8 ჰა ფართობების ორი სასათბურე მეურნეობის მშენებლობა - ზუგდიდის რაიონის სოფელ ცაისში 5,5 ჰა ფართობზე, სადაც კომპანია „სტიმორმა“ 5,2 მილიონი აშშ დოლარის ინვესტიცია განახორციელა და გარდაბნის რაიონში 12 ჰა ფართობზე, სადაც თანაინვესტირების ფონდი და კომპანია „რეიჩელ გრუპი“ 2015 წელს 14,3 მილიონი აშშ დოლარის ინვესტიციის დაბანდებას აპირებს. ორივე პროექტის დასრულების შემდგომ არსებულ მოცულობებს (10,000 ტონამდე) დაემატება მინიმუმ 6,000 ტონამდე მზა

პროდუქცია, ძირითადად, პომიდორის სახით. გარდა ამისა, აღსანიშნავია შედარებით დაბალი ტექნოლოგიური სათბურების (გათბობის ქვეშ) ფართობი, რომლის საერთო მოცულობა ქვეყნის მასშტაბით დაახლოებით 35 ჰა-ს შეადგენს და პომიდორის საშუალო მოსავლიანობა არ აღემატება დაახლოებით 55 ტონას. საერთო ჯამში ეს სათბურები 2,000 ტონამდე პროდუქციას ამზადებენ. ქვეყნის მასშტაბით ამჟამად იწარმოება 12,000 ტონა მზა პროდუქცია, რასაც 2015 წლისთვის ორი ახალი პროექტის დასრულების შემდგომ დაემატება 6,000 ტონა (სულ 18,000 ტონა - პომიდორი 85%, კიტრი 10%, სხვა ბოსტნეული, სალათები 5%)

რაც შეეხება აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას, აქ მოქმედებს ორი კომერციული ტიპის მაღალი ტექნოლოგიებით აღჭურვილი სასათბურე მეურნეობა, კერძოდ, ბათუმში ბენზეს რაიონში კომპანია „Aikon Group“ ფლობს 3,3 ჰა ფართობის სასათბურე მეურნეობას, ხოლო ქობულეთში, სოფელ თეთროსანში შპს „V&T აგრო“ – 1,5 ჰა-ს. სრული დატვირთვის პირობებში აღნიშნული სათბურების ჯამური წარმადობა არაუმეტეს 1,500 ტონაა პომიდორზე გადაანგარიშებით. 2009-2011 წლების განმავლობაში „Aikon Group“ ადგილობრივი სადისტრიბუციო კომპანიის (შპს „ფორა“) მეშვეობით ამარაგებდა მთელ საქართველოს, მათ შორის, მსხვილ საცალო სავაჭრო ქსელებს, მაგალითად, შპს „გუდვილს“.

აჭარის ეკონომიკის და ფინანსთა სამინისტროს თხოვნით კვლევას დაემატა მე-4 მიმართულება- დახურულ გრუნტში მარწყვის კულტურის წარმოების პერსპექტივების ანალიზი. ამჟამად დახურულ გრუნტში მარწყვის ძირითადად იწარმოება დასავლეთ საქართველოში არაკომერციული მასშტაბებით, კერძოდ, ზუგდიდის რაიონის სოფელ ორსანტიაში განლაგებულია ორი მცირე ზომის (თითოეული 500 კვ. მეტრი) სათბური, სადაც ადგილობრივ ფერმერს (რუსლან აბსნაძე) მოჰყავს სან-ანდრასის ჯიშის მარწყვი. იმავე ფართობის მეორე სათბური მდებარეობს აჭარაში, აიპ „აგროსერვისცენტრის“ ტერიტორიაზე, სადაც წარმოება ხდება ჰიდროპონიკის გამოყენებით. მესამე სათბური, ასევე მცირე ზომის, 300 კვ. მეტრის ფართობის არის მარნეულის რაიონის სოფელ თამარისში, სადაც მარწყვის წარმოება ხდება, ასევე, თანამედროვე ტექნოლოგიების, კერძოდ, ჰიდროპონიკის გამოყენებით. თამარისში აწარმოებენ ორი ჯიშს - „ალბიონს“ და „ელიზაბეტ II-ს“. წარმოების თვალსაზრისით შეიძლება ითქვას რომ მარწყვის დახურულ გრუნტში მოყვანა ფაქტიურად არ ხდება და არსებული სიმძლავრეების გამოყენებით შეიძლება მხოლოდ 10 ტონამდე მარწყვის მიღება. შესაბამისად, ქვეყანაში არასეზონურად მოხმარებული პროდუქციის უდიდესი ნაწილი არის იმპორტირებული.

ii. იმპორტის ანალიზი

გასათვალისწინებელია, რომ საქართველოს მეზობელი ქვეყნები, კერძოდ, თურქეთი სასათბურე მეურნეობების განვითარების მხრივ ერთ-ერთ წამყვან სახელმწიფოდ ითვლება. 2014 წელს გამოქვეყნებული მონაცემებით, თურქეთში სათბურები გაშენებულია 33,500 ჰა ფართობზე და ამ მაჩვენებლით მსოფლიოს ხუთეულში შედის. მთლიანი ფართობის 30%-ზე (10,100 ჰა) იწარმოება დაახლოებით 2 მილიონი ტონა პომიდორი. თურქეთის ძირითადი ბაზარი დახურული გრუნტის ბოსტნეულისთვის ევროკავშირი და რუსეთია. თურქეთის წარმოების მოცულობის გათვალისწინებით, საქართველოს ბაზარი, აქ არსებული მოხმარების მცირე მოცულობის გამო თურქეთისთვის არ წარმოადგენს სტრატეგიულ მიმართულებას. მიუხედავად ამისა, იქ წარმოებული პროდუქციის რაოდენობებიდან და მასშტაბის ეკონომიდიდან გამომდინარე, ერთი კილოგრამის ფასი ძალიან დაბალია,

საშუალოდ 0,20-0,25 აშშ დოლარი. ამასთან, თურქეთში სასათბურე წარმოება სწრაფი ტემპებით იზრდება და ამის ძირითადი მიზეზი მზარდი ადგილობრივი და საექსპორტო ბაზრებია.

ცხრილი 1 : საქართველოში არასეზონური ბოსტნეულის იმპორტი (2006-2013წ.)

პროდუქტი	ტონა							
	2006	2007	2008	2009	2010	2011	2012	2013
პომიდორი	4 137,00	7 023,00	9 332,00	6 965,00	8 139,00	10 915,00	10 958,00	15 677,00
კიტრი	428,00	3 315,00	3 700,00	3 066,00	3 564,00	5 568,00	5 925,00	6 455,00
წიწაკა	500,00	615,00	725,00	862,00	1 127,00	2 217,00	2 084,00	2 646,00
ბადრიჯანი	3 890,00	4 453,00	5 800,00	3 500,00	3 848,00	5 174,00	4 863,00	6 176,00
მარწყვი	3,00	31,00	21,00	40,00	56,00	50,00	54,00	70,00

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ცხრილიდან ჩანს, რომ წარმოების ადგილობრივი სიმძლავრეების ზრდის მიუხედავად იზრდება იმპორტის მოცულობაც. ეს განსაკუთრებით აისახა პომიდორის იმპორტის მაჩვენებლებზე, სადაც ბოლო რვა წლის განმავლობაში იმპორტირებული პროდუქციის მოცულობა ოთხჯერ გაიზარდა. ამავე დროს სხვა ბოსტნეული კულტურების იმპორტის მხრივაც არის მატება, რაც მეტყველებს, ზოგადად, არასეზონური ბაზრის განვითარებაზე და მოხმარების ზრდის ტენდენციებზე.

იმპორტის მოცულობების და წარმოების მასშტაბის მხრივ თურქეთი ლიდერობს ოთხივე დასახელების ბოსტნეულში და მარწყვიც. ადგილობრივი წარმოების ძირითადი კონკურენტიც და ფასწარმოქმნის გასაღებიც სწორედ ამ ქვეყნის ხელშია.

ცხრილი 2 : საქართველოში იმპორტირებული ბოსტნეულის საშუალო ფასი (2006-2013წ.)

პროდუქტი	აშშ დოლარი/კგ							
	2006	2007	2008	2009	2010	2011	2012	2013
პომიდორი	0,42	0,57	0,41	0,50	0,56	0,61	0,62	0,62
კიტრი	0,30	0,34	0,25	0,49	0,56	0,61	0,62	0,61
წიწაკა	0,30	0,30	0,18	0,65	0,67	0,70	0,71	0,69
ბადრიჯანი	0,47	0,60	0,38	0,54	1,00	1,01	0,95	0,94
მარწყვი	0,66	0,61	0,52	1,09	1,67	1,54	1,60	1,71

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

საქართველოში არასეზონური პომიდორის იმპორტი იწყება ნოემბრის ბოლოდან და პიკს აღწევს მაისი-ივნისში. რაც შეეხება ადგილობრივ წარმოებას, ივლისიდან იწყება დახურული გრუნტის პომიდორის კრეფა დასავლეთ საქართველოში არსებულ სასათბურე ტუნელებში (გათბობის გარეშე) და სწორედ ამ დროს წყდება იმპორტი (კილოგრამი პომიდორის ფასი ეცემა 1 ლარამდე), რასაც თან მოსდევს ღია გრუნტის პომიდორის გამოჩენა ბაზარზე. რაც შეეხება კიტრს, მისი დახურული გრუნტში წარმოება გათბობის გარეშე კონცენტრირებულია ლაგოდეხის რაიონში, სადაც მოსავლის აღებას იწყებენ მაისიდან, ხოლო ივნისში იმპორტი, ფაქტობრივად, წყდება (ფასის შემცირების გამო საშუალოდ, კილოგრამის ფასი არაუმეტეს 1

ლარისა). რაც შეეხება ტკბილ წიწაკას, მისი იმპორტი დამოკიდებულია ადგილობრივი ღია გრუნტის წარმოებაზე, რომელიც იწყება ივნისის ბოლოს და მთავრდება სექტემბერ-ოქტომბერში. წიწაკის ფასი საკმაოდ მაღალია, შესაბამისად, დაბალია მისი მოსავლიანობა. პომიდორთან და კიტრთან შედარებით, თურქეთიდან შემოსული წიწაკა საკმაოდ მაღალი საგემოვნო თვისებებით ხასიათდება, ამ ფაქტორით შეიძლება აიხსნას მასზე მოთხოვნის ზრდაც. რაც შეეხება მარწყვის იმპორტს, ძირითადი რაოდენობა შემოდის თურქეთიდან. იმპორტი იწყება ოქტომბრიდან და გრძელდება მარტის ბოლომდე. აპრილის დასაწყისში იწყება ადგილობრივი წარმოება ღია გრუნტზე, საადრეო ვარიანტია მცირე ზომის ტუნელებით (პოლიეთილენის პარკებით) რიგების დახურვა, რაც ადრეული კრეფის (2-3 კვირით) საშუალებას იძლევა. საბითუმო ბაზარზე ერთი კილოგრამი მარწყვის ფასი არასეზონურ პერიოდში მერყეობს 8-14 ლარის ფარგლებში, ხოლო საცალო სავაჭრო ქსელებში ერთი კილოგრამის ფასმა შეიძლება 20 ლარსაც გადააჭარბოს. ზოგადად, ადგილობრივი არასეზონური მოხმარება მარწყვის შემთხვევაშიც მზარდია - თუ 2009 წელს ქვეყანაში 44 მილიონი აშშ დოლარის ნედლი პროდუქტი შემოვიდა, ამ მაჩვენებელმა 2013 წელს 117 მილიონ აშშ დოლარს გადააჭარბა (წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური).

iii. საექსპორტო ბაზრების პოტენციალი

ადგილობრივ ბაზარზე არსებული მოხმარების დაბალი დონის და მოსახლეობის სიმცირის გამო დახურული გრუნტის ბოსტნეული და კენკროვანი კულტურების წარმოებისას დღის წესრიგში დგას ექსპორტზე მისი რეალიზაციის საკითხი. დახურული გრუნტის ბოსტნეული კულტურების შემთხვევაში, საექსპორტო პოტენციალის მქონე ბაზრებია რუსეთის ფედერაცია და უკრაინა. პომიდორის შემთხვევაში რუსეთის ყოველწლიური იმპორტი 700,000 ტონაა, უკრაინის ბაზარზე კი დაახლოებით 50,000 ტონა შედის. ორივე ქვეყანაში ძირითადი იმპორტიორი თურქეთია. თუმცა, უკრაინას, თავის მხრივ, მცირე ოდენობით პროდუქციის ექსპორტი გააქვს რუსეთის ფედერაციაში. რაც შეეხება ფასებს, ერთი კილოგრამის საბითუმო ფასი არასეზონურ პერიოდში მერყეობს 1,8-2,1 აშშ დოლარის ფარგლებში. პროდუქციის შედარებით დაბალი ფასი კონპენსირდება რეალიზაციის მაღალი მოცულობით. იგივე მდგომარეობაა სათბურის კიტრის შემთხვევაში. რუსეთში ყოველწლიურად იმპორტით შედის 200,000 ტონამდე სათბურის კიტრი და ერთი კილოგრამის საშუალო საბითუმო ფასი მერყეობს 1,9 – 2,4 აშშ დოლარის ფარგლებში. რაც შეეხება წითელ წიწაკას, რუსეთში ყოველწლიურად მისი იმპორტი განისაზღვრება 100,000 ტონით და კილოგრამი პროდუქციის საბითუმო ფასი საშუალოდ 2,5 აშშ დოლარია. რუსეთში იმპორტის სახით შედის 55,000 ტონამდე მარწყვი, საიდანაც არასეზონურ პერიოდში - დაახლოებით 50,000 ტონა. ერთი კილოგრამი საექსპორტო პროდუქტის ფასი შეადგენს 2-2,5 აშშ დოლარს. იმპორტის დიდი მოცულობების და მაღალი ფასის მიუხედავად რუსეთის ბაზარი რჩება ერთერთ არასტაბილურ მომხმარებლად არსებული ეკონომიკური კრიზისის და პოლიტიკურად დაძაბული სიტუაციის გამო. განსაკუთრებით რთულია ამ ბაზარზე მოქმედება არასტაბილური გაცვლითი კურსის პირობებში, სწორედ ამიტომ აუცილებელია ბაზრების დივერსიფიცირება.

V. სასათბურე მეურნეობის წარმოების ჯაჭვის ანალიზი (მასალების შესყიდვა - მზა პროდუქციის რეალიზაციის არხები)

i. მასალების მოწოდებლები

საქართველოში ბოლო ხუთი წლის განმავლობაში აშენდა 50 ჰა-მდე ფართობის ახალი სასათბურე მეურნეობები. მათი უმრავლესობა აღიჭურვა ისარელში, თურქეთში და ჰოლანდიაში წარმოებული ტექნოლოგიებით. სასათბურე სისტემების მწარმოებელი ცნობილი კომპანიები ადგილობრივ ბაზარზე წარმოდგენილი არიან ოფიციალური დილერებით, რომელთა უმეტესობასაც უკვე დასრულებული აქვს რამოდენიმე პროექტიმათ შორის აღსანიშნავია ისეთი ცნობილი ბრენდები, როგორცაა: ნეტაფიმი, ორგილი, ტოპ-გრინჰაუზი და რაიჩელ გრუპი.

ii. სარეალიზაციო არხები (მიზნობრივი ბაზრები)

წარმოებული და იმპორტირებული არასეზონური ბოსნტეულის რეალიზაცია ხორციელდება საბითუმო და საცალო სავაჭრო ქსელებში. იმპორტირებული პროდუქცია ბაზარზე ხვდება საბითუმო ცენტრების გავლით, ხოლო ადგილობრივი წარმოება ხშირ შემთხვევაში პირდაპირ ამარაგებს საცალო სავაჭრო ქსელებს და საზოგადოებრივი კვების ობიექტებს. ყველა დიდ ქალაქში, განსაკუთრებით კი დედაქალაქში მოქმედებს საბითუმო ბაზრები, სადაც პროდუქცია შემოდის ფურებით და რეალიზაცია ხდება უშუალოდ ძარებიდან. გარდა ამისა, საბითუმო ბაზრებზე მოქმედებენ კომპანიები ე.წ. ტრეიდერები, რომლებიც იღებენ და ასაწყობებენ პროდუქციას შემდგომში საცალო სავაჭრო ქსელებზე და საზოგადოებრივი კვების ობიექტებზე რეალიზაციის მიზნით. საცალო სავაჭრო ქსელებიდან მაღალი რეალიზაციის მაჩვენებლებით გამოირჩევა ჰიპერმარკეტები და სუპერმარკეტები, სადაც თითქმის თანაბარი ოდენობით იყიდება ადგილობრივი და იმპორტირებული პროდუქცია, რაც განპირობებულია მათი კლიენტების შემოსავლების დონით, რაც შეეხება აგრარულ და საბითუმო ბაზრებს იქ რეალიზებული პროდუქციის 80% დაბალ ფასიან იმპორტულ პომიდორს წარმოადგენს. რაც შეეხება კიტრს და ტკბილ წიწაკას, არასეზონურ პერიოდში დომინირებს იმპორტირებული საქონელი. ერთადერთი გამონაკლისია კიტრი, რომლის ადგილობრივი წარმოებაც სასათბურე ბიზნესის 5%-ს მოიცავს. კიტრის და ტკბილი წიწაკის იმპორტის დიდი წილი უკავია თურქეთს. აღსანიშნავია ტკბილი წიწაკის მიმზიდველი ფასი და მაღალი მოგების მარჟა. ამის მიუხედავად, ადგილობრივი მეწარმეები არ დივერსიფიცირდებიან ამ მიმართულებით, რაც წარმოების ტექნოლოგიების არცოდნით შეიძლება აიხსნას. შემდეგ ცხრილში მოცემულია პომიდორის მოხმარება საქართველოს ქალაქებში.

ცხრილი 4: პომიდორის მოხმარება ქალაქებში (%)

ქალაქი	პერიოდი	
	ზაფხული	ზამთარი
თბილისი	59.7%	64.5%
თელავი	0.8%	0.5%
გორი	3.3%	3.0%
ახალციხე	1.0%	1.1%
ქუთაისი	16.1%	3.0%

ბათუმი	4.5%	21.9%
ზუგდიდი	4.2%	2.5%
რუსთავი	10.2%	2.0%
მარნეული	0.2%	1.5%

როგორც მოცემული ცხრილიდან ჩანს არასეზონური მოხმარება კონცენტრირებულია თბილისში და ბათუმში, რაც განპირობებულია ამ ორ ქალაქში შედარებით მაღალი ეკონომიკური აქტივობითა და შესაბამისად, მოსახლეობის მსყიდველობითი უნარის მაღალი დონით, ასევე, საქართველოს სხვა ქალაქებთან შედარებით, ტურისტების მეტი რაოდენობით.. ბათუმი და თბილისი ლიდერობს, აგრეთვე, საბითუმო სარეალიზაციო, საცალო სავაჭრო ქსელების და საზოგადოებრივი კვების ობიექტების რაოდენობითაც, რაც განაპირობებს პომიდორის რეალიზაციის მაღალ მოცულობას. თბილისში ფუნქციონირებს ათამდე საბითუმო ცენტრი, სადაც ხდება არასეზონური ბოსტნეულის და ხილის რეალიზაცია. გარდა ამისა, თბილისში მოქმედებს შვიდამდე საცალო სავაჭრო ქსელი, რომლებიც იზიდავს ადგილობრივი წარმოების პროდუქციის ძირითად მომხმარებელს - საშუალო ფენას. ერთი საინტერესო ფაქტიც შეიძლება მოვიყვანოთ სარეალიზაციო არხების დახასიათების დროს. აჭარაში მოქმედი “აიკონ-ჯგუფი” თავისი პროდუქციას აწვდიდა ქვეყანაში ბანანის ერთ-ერთ მსხვილ იმპორტიორ კომპანია „ფორას“, რომელიც ხილის დისტრიბუციასთან ერთად ქსელში უშვებდა სათბურში წარმოებულ ბოსტნეულს. ეს სქემა საკმაოდ კარგად მუშაობდა იქამდე სანამ ფუნქციონირებდა თავად “აიკონ ჯგუფი”. დისტრიბუციის თვალსაზრისით ეს მიდგომა აპრობირებულია სხვა ბიზნესებშიც (მინერალური წყალი, ღვინო, არაალკოჰოლური სასმელები) და განსაკუთრებით კარგად მუშაობს ხილის და ბოსტნეული შემთვევაში იმის გათვალისწინებით, რომ ორივე პროდუქტი მოითხოვს გარკვეულ ინფრასტრუქტურას (შესანახი საკნები, დამახარისხებელი ხაზი და სხვა) არსებობას, რაც მცირე და საშუალო ზომის სასათბურე მეურნეობის პირობებში საკმაოდ მაღალ საინვესტიციო დანახარჯებს მოითხოვს.

ცხრილი 5: საქართველოში რეალიზებული პომიდორის წარმოებული ქვეყნები (2011-2013)

პერიოდი	ადგილობრივი	თურქეთი	აზერბაიჯანი
იანვარი	40%	60%	0%
თებერვალი	40%	60%	0%
მარტი	40%	60%	0%
აპრილი	40%	45%	15%
მაისი	50%	30%	20%
ივნისი	65%	0%	35%
ივლისი	90%	0%	10%
აგვისტო	100%	0%	0%
სექტემბერი	100%	0%	0%
ოქტომბერი	100%	0%	0%
ნოემბერი	70%	30%	0%
დეკემბერი	50%	50%	0%

აღნიშნული ცხრილი ადასტურებს, რომ ადგილობრივი სასათბურე სიმძლავრეების უდიდესი ნაწილი ორიენტირებულია პომიდორის წარმოებაზე. სწორედ ამას უკავშირდება

პროდუქციაზე ფასების არასტაბილურობა და ხშირ შემთხვევაში ვარდნაც. თურქული წარმოების პომიდორს საბაჟოზე ფიქსირებული ფასიდან გამომდინარე აქვს ფასების კიდევ უფრო დაწვეის საშუალებაც (ამჟამად საშუალო წლიური საცალო ფასი 2,5 ლარია). ამავ დროს საქართველოში წარმოებული ერთი კილოგრამი პომიდორის მინიმალური თვითღირებულება (მხოლოდ ბუნებრივი ცხელი წყლის გამოყენების პირობებში) 0.8 ლარია , სხვა შემთხვევაში ღირებულება 1,5 ლარს აღწევს, რაც საცალო სავაჭრო ქსელში კილოგრამი პროდუქტის რეალიზებას 2,5 ლარზე ნაკლებად, ფაქტობრივად, გამორიცხავს, განსაკუთრებით ზამთრში და გაზაფხულის დასაწყისში.

განსხვავებული სიტუაციაა სხვა ბოსტნეულის შემთხვევაში, ტკბილი წიწაკის იმპორტის დროს საბაჟოზე ფიქსირებული ფასი 2 ლარს აჭარბებს, სწორედ ამიტომ ქვეყნის ტერიტორიაზე ერთი კილოგრამის საცალო სარეალიზაციო ფასი არანაკლებ 4,5 ლარია. იმპორტირებული პროდუქტის მაღალი ფასი გაზრდის ადგილობრივი მწარმოებლების კონკურენტუნარიანობას და საკმაოდ კარგი მოგების მიღების საშუალებას მისცემს. ეს ფაქტი კიდევ ერთხელ ასაბუთებს კულტურების დივერსიფიკაციის აუცილებლობას, განსაკუთრებით, სასათბურე წარმოების პირობებში. განსხვავებული სურათია მარწყვის რეალიზაციის დროს. არასეზონური მოთხოვნა ამ პროდუქტზე საკმაოდ დაბალია, რაც ძირითადად მაღალი საცალო ფასის შედეგად შეიძლება მივიჩნიოთ. ადგილობრივი წარმოების განვითარების შემთხვევაში გარდაუვალია ერთი კილოგრამი მარწყვის ფასების შემცირება 7-9 ლარამდე, რაც ავტომატურად გაზრდის რეალიზაციის მოცულობას.

VI. SWOT ანალიზი - დარგში არსებული სიტუაციის ანალიზი და მიმდინარე ტენდენციების იდენტიფიცირება

სურათი 1: SWOT ანალიზი

	ხელისშემწყობი ფაქტორები	ხელისშემშლელი ფაქტორები
შიდა ფაქტორები	<p>ძლიერი მხარეები</p> <ul style="list-style-type: none"> • ხელსაყრელი კლიმატი • გეოგრაფიული ადგილმდებარეობა • იაფი სესხის წყაროები 	<p>სუსტი მხარეები</p> <ul style="list-style-type: none"> • ინფრასტრუქტურის გაუმართაობა/არარსებობა • ბუნებრივი აირის და მყარი საწვავის (თხილის ნაჭუჭის გარდა) მაღალი ფასი • ცხელი წყლების სიმცირე • სპეციალისტების სიმცირე • კულტურების ნაკლები დივერსიფიკაცია

შესაძლებლობები	საფრთხეები
<ul style="list-style-type: none"> • ბოსტნეულ კულტურებზე მზარდი მოთხოვნა • თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულება ევროკავშირთან • ადგილობრივ ბაზრზე არსებული მზარდი მოთხოვნა • ტურიზმის მზარდი ტენდენციები 	<ul style="list-style-type: none"> • მაღალი კონკურენცია თურქეთის მხრიდან • საექსპორტო ბაზრებზე არსებული არასტაბილური გარემო

აჭარის რბილი კლიმატი რეგიონში სასათბურე წარმოების განვითარებისთვის ერთ-ერთი მთავარი ხელშემწყობი ფაქტორია. სასათბურე წარმოების ეფექტურობა პირდაპირ არის დაკავშირებული ენერგო რესურსებთან, თბილი ზამთარის პირობები კი ამ მხრივ უპირატესობას ანიჭებს აჭარაში მოქმედ სასათბურე მეურნეობებს. აჭარის გეოგრაფიული მდებარეობა, კერძოდ, საზღვაო პორტი და მშენებარე ავტობანი განაპირობებს რეგიონის საექსპორტო პოტენციალს განსაკუთრებით ისეთ ქვეყნებში, როგორებიცაა: უკრაინა, რუსეთი, აზერბაიჯანი და სომხეთი.

სასათბურე წარმოებაში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს რამოდენიმე ფაქტორს, მათ შორის, კლიმატს და მოსავლიანობას. ეს უკანასკნელი დაკავშირებულია თანამედროვე ტექნოლოგიებთან და, შესაბამისად, დიდი ინვესტიციებთან. საქართველოში ამჟამად მოქმედებს იაფი სესხის პროგრამა, რომელიც დიდ საინვეტიციო პროექტებში იაფი ფინანსური რესურსის მოზიდვის საშუალებას იძლევა. ძნელია იმის ვარაუდი თუ როდემდე გაგრძელდება აღნიშნული პროგრამა, მიუხედავად ამისა დღეს ეს პროგრამა აქტიურია და მის ფარგლებში ხდება სესხების გაცემა. სასათბურე მეურნეობების განვითარებისთვის ხელმისაწვდომი სესხების არსებობა ერთ-ერთი ხელშემწყობი ფაქტორია, რადგან სასათბურე მეურნეობის ერთ ჰექტარზე თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვის ფასი საშუალოდ 1 მილიონი აშშ დოლარია.

თანამედროვე სასათბურე მეურნეობის ფუნქციონირებისათვის აუცილებელია შესაბამისი ინფრასტრუქტურის არსებობა - წყალი, ბუნებრივი აირი, ელექტრო ენერგია, სადრენაჟო სისტემა და საგზაო ინფრასტრუქტურა. აჭარის შემთვევაში პრობლემურია ბუნებრივი აირის, წყლის და გზის საკითხი. ელექტრო ენერგია უწყვეტად მიეწოდება აჭარის თითქმის ყველა დასახლებულ პუნქტს და შესაძლებელია სასათბურე მეურნეობების შეუფერხებლად მომარაგება. იმის მიუხედავად, თუ რომელენერგომატარებელზე იმუშავებს სათბური, გაზის როგორც ალტერნატიული ენერგომატარებლის არსებობა აუცილებელია. ამავე დროს, აღსანიშნავია, რომ ენერგომატარებლის, განსაკუთრებით, ბუნებრივი აირის ფასი ზრდის ტენდენციით ხასიათდება, რაც უარყოფითად მოქმედებს ადგილობრივი მესათბურეების კონკურენტუნარიანობაზე. გაზის ყველაზე იაფი ალტერნატივა ბუნებრივი ცხელი წყლის ჭაბურღილებია, თუმცა, მათი რიცხვი ქვეყანაში ძალიან მცირეა, თითქმის არცერთი მათგანი არ ფიქსირდება აჭარაში. ჯაბურღილები მოწყობილია საბჭოთა კავშირის დროს და ამჟამად აღნიშნული სამუშაოების ჩატარება დიდ ხარჯებთანაა დაკავშირებული. საშუალოდ, 1000 მეტრიანი ჭაბურღილისა გასაჭრელად, დაახლოებით, 500,000-დან 1 მილიონამდე აშშ დოლარია საჭირო.

სასათბურე მეურნეობების განვითარების ერთ-ერთი ძირითადი შემაფერხებელი ფაქტორი კვალიფიციური აგრონომების და მცენარეთა დამცველების დეფიციტია. ამჟამად მსხვილი ინვესტორების მიერ უცხოეთიდან მოწვეული აგრონომების ანაზღაურება საკმაოდ ძვირია და ხშირად წელიწადში 100,000-150,000 აშშ დოლარს უტოლდება, იმავე კვალიფიკაციის ადგილობრივი სპეციალისტის დაქირავების ღირებულება კი თითქმის სამჯერ ნაკლებია. ქვეყანაში კვალიფიციური კადრების ხელმისაწვდომობის დაბალი დონე მნიშვნელოვნად ზრდის წარმოების ხარჯს და ტვირთად აწვება ინვესტორს.

მწარმოებლების 80-85% პომიდორის, ხოლო 15-20% კიტრის წარმოებაზე სპეციალიზირდება, რაც, ძირითადად, განპირობებულია ნაკლები ინფორმირებულობით არსებული ბაზრების და კულტურების დივერსიფიცირების პოტენციალის შესახებ. თურქეთი აწარმოებს განსაკუთრებით დიდი რაოდენობით პომიდორს, რომლის საექსპორტო ფასიც ძალიან დაბალია. იმის გამო რომ საქართველოში შემოდის ევროპის ბაზრისთვის არასტანდარტული ზომის პროდუქცია შესაბამისად არასტანდარტული პროდუქციაც სიმბოლურ ფასად იყიდება. განსხვავებული მდგომარეობაა კიტრის შემთხვევაში, თუმცა, მხოლოდ ორი პროდუქტით ბაზარზე კონკურენცია საკმაოდ წამგებიანია და აუცილებელია წარმოების განვითარება ისეთი მიმართულებებით, როგორებიცაა: ტკბილი წიწაკა, მარწყვი და სხვადასხვა ტიპის სალათები.

რაც შეეხება შესაძლებლობების ანალიზს, უდავოდ საყურადღებოა ნედლი ბოსტნეულის (მათ შორის სასათბურე) მოხმარების მზარდი ტენდენციები განსაკუთრებით ევროკავშირის ქვეყნებში. გერმანიაში 2004-2013 წლებში ბოსტნეულის მოხმარება საშუალოდ 2-5%-ით არის გაზრდილი, რაც ბაზრის მიმზიდველობის ზრდაზე მეტყველებს. თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული შეღავათები დამატებითი სტიმული იქნება ინვესტორებისთვის სასათბურე მეურნეობების განვითარების მიმართულებით. ევროპის ბაზარზე დამკვიდრების აუცილებელ პირობას წარმოადგენს არასეზონური ბოსტნეულის ასორტიმენტი და ხარისხი.

რაც შეეხება საფრთხეებს, გასათვალისწინებელია, რომ თურეთი კვლავ დარჩება ერთ-ერთ მთავარ კონკურენტად, სადაც შიდა მოხმარების ზრდასთან ერთად იზრდება წარმოების სიმძლავრეებიც. თურქეთში ამჟამად არ მოქმედებს არანაირი საგადასახადო, თუ საბაჟო შეღავათები ნედლი ბოსტნეულის ექსპორტის დროს (მხოლოდ ტომატის პასტის მწარმოებლებისთვის), მაგრამ მსგავსმა შეღავათებმა შეიძლება არაკონკურენტუნარიან პირობებში ჩააგდოს ჩვენი მწარმოებელი. შეღავათების გარეშეც თურქეთი რჩება დომინანტად წარმოების მხრივ ეს განსაკუთრებით ეხება პომიდორს, კიტრს და ტკბილ წიწაკას ამიტომ ამ რისკის გასაწინააღმდეგებლად აუცილებელია დივერსიფიკაცია სხვა ბოსტნეული თუ კენკროვანი კულტურების მიმართულებით. კულტურების დივერსიფიკაცია ბაზრების დივერსიფიცირების საშუალებასაც მოგვცემს, რაც აუცილებელია რუსეთის და უკრაინის ბაზრებზე დამკვიდრებული არასტაბილური გაცვლითი კურსის და მოთხოვნის ვარდნის გასაწინააღმდეგებლად.

VII. დანართი: ბიბლიოგრაფია

1. საგარეო ვაჭრობა, საქართველოს იმპორტი სასაქონლო პოზიციების მიხედვით. 2014. *საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური*
2. სასურსათო უსაფრთხოების ინფორმაცია, სურსათის ექსპორტი და იმპორტი. 2014. *საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური*.
3. სასათბურე სექტორის სამოქმედო გეგმა. 2009. *ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტო/ეკონომიკური აღმავლობის ინიციატივა*
4. ოსმან ცაკიროგლუ, 2012. *ნედლი პომიდორის წარმოება თურქეთი*. სოფლის მეურნეობის გლობალური საინფორმაციო ცენტრი
5. ოზრუგეთში სასათბურე მეურნეობის განვითარების ბიზნეს გეგმა. 2010. *აგრო საკონსულტაციო ცენტრი*
6. G. KESKIN1, F. F. TATLIDIL, 2010. *AN ANALYSIS OF TOMATO PRODUCTION COST AND LABOR FORCE PRODUCTIVITY IN TURKEY*
7. Turkey has already become Almeria's biggest tomato competitor. 2014. *FreshPlaza*.
8. Total Areas in Major Greenhouse Production Countries. 2012. *The University of Arizona Board of Regents*
9. Bert Houter, André Kool, Peter Klapwijk, Jilles Goedknecht, 2011. *Plan for the cultivation of greenhouse tomato in Georgia*
10. Greenhouse Project Development in Samegrelo, Zugdidi District, 2014. *TBSC consulting*
11. John A. Biernbaum. 2006. *Greenhouse Crop Production: Counting the Costs and Making Cents*
12. Greenhouse Business Plan. 2009. *Tree Land Nurseries*